საქართველოს მთავრობის

დადგენილება №304

2013 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

2013 - 2018 წლების თამბაქოს კონტროლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს 20132018 წლების თამბაქოს კონტროლის სამოქმედო გეგმა დანართის სახით.

მუხლი 2

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, მოამზადოს და საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოადგინოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 2014 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების სახელმწიფო პროგრამა.

მუხლი 3

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდეს უწყებებისათვის შესაბამისი ბიუჯეტით და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

მუხლი 4

სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა უწყებებმა უზრუნველყონ მათთვის 2014 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად შესაბამისი სახელმწიფო პროექტების მომზადება და საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენა.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**